# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 638

დამატების № 114

კვირა, 31 ივლისი 1916 წ.



ლეკის ქალთა ტიპები.—ნახატი **ხალილ ბეგ მუსაევისა.**

## ნათლიას წყევლა *)

(სერბიული)

**იანქო ვესელინოვიჩისა.**

ზამთრის გრძელ საღამოს ისე ატარებენ ხოლმე სოფელში, როგორც ქალაქად. ან შეიკრიბება ერთად რამდენიმე მეგობარი ცეცხლის გარშემო, რომელზეც ქვაბი სდგას და ხუმრობით „მოძღვარს“ ეძახიან, ვითომ იმას ალსარებას უუბნებიან ხოლმე, ან და შეგროვდებიან ვისთანმე, სვამენ, ებანზე დამღერიან, ბაასობენ, ზღაპრებს ამბობენ.

ერთხელ მეც ვიყავი ერთ ამისთანა ალაგას. მობაასენი საკმაო ბლომად შეკრებილიყვნენ. სვამდნენ, მღეროდნენ, ბაასობდნენ. რომელიღაც აუტყდა მოხუც რანქო დრაგანოვიჩს—გვიამბე რამეო. რანქომაც ბევრი აღარ ათხოვინა, ულვაშებზე ხელი გადაისვა, ფიალიდან ღვინო მოსვა, თავის გრძელ ჩიბუხიდან რამდენიმეჯერ უხვად გააბოლა და დაიწყო.

I

ჩვენ სოფელში ჩემზე მოხუცი აღარავინ არის. ვინც აქა ხართ, ყველა თქვენის დაბადება მახსოვს. ბევრი, ბევრი რამ მახსოვს! მახსოვს აი, რომ ჩვენი ეკლესია სულ აქ არა მდგარა; წინანდელი, ძველი აგერა აიმ მაღლობზე იდგა. მახსოვს, დაბა რავნიე როგორ ჩავარდა; მაშინ მე რვა წლისა ვიყავი. მახსოვს, მილოში როგორ აირჩიეს სერბიის თავადად, როგორ გადმოაგდეს ტახტიდან და ის ტახტი ისევ როგორ დაიბრუნა. კიდევ ბევრი რამ მაგონდება, ბევრი!.. აი კიდევ, მახსოვს, თურქები როგორ დაგვეცნენ და ბერები როგორ დადიოდნენ სოფელ-სოფელ და ხალხს აღსარებას ათქმევინებდნენ, ქალები კი სტიროდნენ; არც ის დამავიწყდება, რამდენი უბედურება გამოვიარე თვითონ მე თურქებისაგან. მახსოვს, როცა ხალხს კაპიტნები ასამართლებდნენ, კმეთები კი (სოფლის მოსამართლეები) მერე შემოიღეს, კაპიტნობა რომ გადააგდეს, გლეხებმა სოფელში კმეთების ამორჩევა დაიწყეს და მოსამართლის კვერთხს ჩააბარებდნენ ხოლმე. ეს ამორჩეული კაცი იყო ხალხის მოსამართლე. ერთს წელიწადს რიგიანად ასამართლებდა; ხოლო თუ ზარმაცობას შევამჩნევდით, ჩამოვართმევდით ხელად კვერთხს და სხვას ავირჩევდით. აი ასე იყო ხოლმე ძველად საქმე!

ერთ დროს მოსამართლედ ჩემი მეზობელი—სთანოილო ფურეთიჩი ამოვირჩიეთ. ისეთი მდიდარი, დიდი გვარიდან იყო, რომ ეხლა სადღა ჰნახავ იმისთანას. ის გვარის უხუცესი იყო, ოჯახში იმასთან ერთად ოთხი ძმა სცხოვრობდა, ორი ცოლიანი, ორიც უცოლშვილო; სამი ბავშვი რძლისა, ცოლი, ახლა ძმისწულები—ერთისიტყვით სახლი სავსე იყო. მამულით ხომ ნახევარი სოფელი იმისი იყო. ჰქონდა მინდორიც, ველიც, საძოვარიც, ტყეც. ჰხედავ ხშირად ღალანებს პური ან სიმინდი, საძოვარზე სძოვს ცხენის ჯოგი, ნახირი ძროხებისა, ხარების, ცხვრები, ღორები.

სთანოილო მაღალი იყო, ტან წერწეტი ალვის ხესავით, ჩასხმული, ძალ-ღონით სავსე. უნდა გენახათ რა ღონიერი ხელები ჰქონდა! ესე ორმოცდაათი წლისა თუ იქნებოდა, იქნება მეტისაც, უცნაური ხასიათის კაცი იყო. რასაც იტყოდა, ისე უნდა ყოფილიყო; თუ ვინმე სიტყვას შეუბრუნებდა, იმის საქმე წასული იყო. თავის-

*) ნათელ-მირონობა სერბიაში დიდად არის მიღებული. შვილის მომნათლავს მშობელ მამაზე მეტი პატივი აქვს. ამიტომ ხალხში რწმენა არის დარჩენილი, რომ თუ ნათლიამ დასწყევლა, ნათლულს ან სხვა ვინმეს იმის ოჯახიდან, უბედურება იმ ოჯახს არ ასცილდება და წყევლა უსათუოდ ასრულდებაო. ხალხს სწამს ისიც, რომ თუ ვინიცობაა მიცვალებულს თვალი ღია დარჩა, იმ ოჯახიდან მალე მეორე კუბოს გაიტანენო. მშვენივრად არის დახატული ამ მოთხრობაში ხალხის როგორც ერთი, ისე მეორე რწმენა. აღწერილია სოფლის სამართალიც და ისიც, თუ როგორი პატივით და მორჩილებით ეპყრობა ხალხი თვისგან მოსამართლედ ამორჩეულ კაცებს. **სანგანიძე.**



† ალექსანდრე ნათაძე.



ოსმალეთის მწერალი—ქემალ-ბეგი.

დღეში არავის არაფერს გაუგონებდა, ყველაფერს ისე, თავისებურად აკეთებდა. სახლში არავის შეეძლო ეთქვა რამე საწინააღმდეგო, არც თუ სოფელში უბრუნებდა ვინმე სიტყვას, ხოლო თუ ვინმე მაინც მოხდებოდა და სამაგიეროს ეტყოდა, განრისხდებოდა და ყველაფერს დაამსხვრევდა, რაც ხელთ მოხვდებოდა. ხელში მუდამ შოლტი ეჭირა და მზად იყო გასამათრახებლად, თუ ვინმე გააბრაზებდა.

გარნა უკეთეს პატრონს და უხუცესს ქვეყანაზე ვერ იპოვნიდი! ხანდისხან ბავშვებს, დიდებს ისე ექცეოდა, ვით ანგელოზი. თვითონ წამოდგებოდა გარიჟრაჟზე და დაიყვირებდა: მილისავ, ჰა მილისავ!..

მაშინვე მოვიდოდა უფროსი ძმა, ყველაფერს დაარიგებდა, სამუშაოს გაუნაწილებდა და მილისავიც მაშინვე ყველას თავ-თავის საქმეზე დააყენებდა. არავის შეეძლო გაჯიუტება, უარის თქმა. შემდეგ სთანოილო პირს დაიბანდა, რამდენიმეჯერ პირჯვარს გადაიწერდა, ავიდოდა მაღლა, ბანზე, მუაჯირზე გადმოეყუდებოდა, სიმინდს აჰკრებდა, დაჯდებოდა, დაფხვნიდა და წავიდოდა ქათმების საჭმლის დასაყრელად. ყველაზე ძალიან ეს უყვარდა. მერე შინ შემობრუნდებოდა, დაუძახებდა რძალს. ისიც უნდა მოხმარებოდა. ქალებიდან ჩვეულებრივ ყველაზე უმცროსს დააკისრებდნენ ხოლმე ამ საქმეს. რძალი ხელს დაბანინებდა, შემდეგ სადილს მოუტანდა: ისე დღეს—მშრალად მოხარშულ ხორცს ან ლორს, მარხვა დღით—კართოფილს ან ცერცვსა. სანამ ჭამას დაიწყებდა, აიღებდა თავის ფიალას, პირჯვარს გადაიწერდა, ახსენებდა ღმერთს და თავის მთავარ ანგელოზს და ფიალას გამოსცლიდა. შემდეგ სადილს შეუდგებოდა.

როცა პირველ თავს გაათავებდა, რძალი მეორეს მოუტანდა და ღვინოს მოაშველებდა. სადილობას რომ გაათავებდა, აიღებდა თვის გრძელ ჩიბუხს, გახსნიდა ქისას, ჩიბუხში ჩასტენიდა თამბაქოს, რძალი ცეცხლს მოუტანდა და ის ჩიბუხს გააბოლებდა. როცა იმათსა სახლში შეხვიდოდი, შეჰხედავდი სთანოილოს, ღმერთო შეგვცოდე, ნამდვილი მეუფე იყო, მეუფე!.. უცქერი, უცქერი როგორ ექცევა შინამყოფთ. ის ჩვეულებრივად სდუმს, ჩიბუხს ეწევა, თუ რამე მოუნდება, ცოტა წამოახველებს მხოლოდ. უკვე მოჰქრის მასთან რძალი, თითქოს უცებ ფრთები გამოესხაო. გაფაციცებული ადევნებს თვალს—რა უნდა სთანოილოს, თორემ ის ხომ თვითონ არაფერს იტყვის... თუ ჰკითხეს—რას ინებებთო, მორჩა. მაგალითად, იმას რომ ტკბილი რამ ესვა და ვინმეს ეთქვა—ერთ ფიალა არაყს მივუტან ბავშვებსო, ალაგიდან წამოვარდებოდა. ცოლი ხელში აი ასე ჰყავნდა გათანგული. ასეთი იყო სთანოილო ოჯახში. სოფელში? ხალხში?. ხალხშიც ისეთივე ბრაზიანი იყო, როგორც შინა. წინად საგანგებო სამსჯავროები როდი იყო. სამართალი ხდებოდა ან რომელიმე ფართე ტოტებიან ხის ქვეშ, ან მოსამართლის სახლის წინ, ან შუა სოფელში. აქ მსაჯული ჩვეულებრივ ასამართლებდა ხოლმე წყვილ-წყვილ, ვინც საჩივლელად მიდიოდა. ჩვენცა გვქონდა ისეთი ხე იქ, ჯვართან, ეხლა აღარ არის.

გამოვიდოდა სთანოილო იმ ჯვართან (ჯვარედინზე მუდამ დიდ ჯვრებს ჩაარჭობდნენ ხოლმე). ვისაც რაიმე ჰქონდა საჩივლელი, ან ვისგანმე რამესა თხოულობდა, იმასთან მიდიოდა, ღმერთს ახსენებდა, მოსამართლეს სალამს მისცემდა და თვის საჩივარს მოუყვებოდა. სთანოილო კარგად მოუსმენდა ყველას და მერე იტყოდა: კარგი, ეს ასე იყვეს, ეს ისე იყვეს! და ისეც იქნებოდა. ხოლო როცა საჭირო იყო მთელი სოფელი შეყრილიყო რაიმე პირობების დასაწერად ან გადასახადების გასაწერად; სთანოილც წინა დღით გაჰგზავნიდა მოსამსახურეს ველქოს და ხალხს შეჰყრიდა. ისეთი ყვირილი იცოდა, ისეთი, მთელს სოფელში ისმოდა ხოლმე!.. ვისაც მოსვლა არ შეეძლო იმასაც კი პასუხი უნდა შემოეთვალა. ვაი შენი ბრალი, თუ ყურს წაიყრუებდი. სთანოილო ხალხს თვალს მოავლებდა და მოკლედ იტყოდა: ოცდახუთი!.. ველქო, რაო, რას გეუბნება? ვერ გავიგონეო?“ და თუნდ ნათლიმამა ყოფილიყავი, თუნდ ძმა, გინდ გემუდარა, გინდ ცა, დედამიწა დაგეფიცებინა—არაფერი გიშველიდა, ველქო ისეთებს აგაყვაინებდა, რომ დიდხანს იფხანდი და ყოველ დროს იმის დალაპარაკებაზე ყური მახვილი გექნებოდა.

როცა ხარკსა ჰკრებდა, ყველას ეუბნებოდა ვის რამდენი ჰქონდა გადასახდელი და ყველას სახელი ზეპირად იცოდა; იცოდა ვისა ჰქონდა გადახდილი, ვის არა. შეუბრალებელი, გულქვა იყო ამ შემთხვევაში. ეტყოდა მხოლოდ: შვიდი დღის შემდეგ ხარკი ხელში ჩამითვალე, ხელში!.. ვადა რომ გავიდოდა, წაიყვანდა მოსამსახურეს, აიღებდა ხელში იმ წყეულ შოლტს და ვინც ხარკს არ მისცემდა, აცემინებდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო. ცემას იტანდნენ, ოღონდ ხარკში არ გაეყიდნა ყველაფერი. მოხუცნი სთანოილოს აქებდნენ და წლის ბოლოს ამბობდნენ:

— ჰაი ყოჩაღ, სთანოილო, ყოჩაღ! აი ნამდვილი მოსამართლე! დიდხანს არ გაყურებინებს. შენ ამას ეს უნდა მისცე, შენ იმას ის,—თვითონ გაჩუმებულია, ეწევა ჩიბუხს. სამაგიეროდ დარჩენილი არავიზეა გადასახადი. რასაც იტყვის სთანოილო, ის უნდა შესრულდეს, ისე, როგორც პური უნდა სჭამო, თუ გინდა გაძღე... ამისთანა მოსამართლე სხვა სოფელში არსად არის, არსად...

ცოტა ალმაცერად უყურებდა სთანოილოს ახალგაზდობა. არ მოსდიოდათ უზურში, რადგან ხშირად თვითნებობდა, იყო მართალი თუ მტყუანი—თავის ნებაზე იქცეოდა. მხოლოდ არ შეეძლოთ ახალგაზდებს მოხუცთა წინააღმდეგ კრინტი დაეძრათ.

სთანოილო? ისე იქცეოდა, თითქოს სამუდამოდ დაეყენებინათ ის მოსამართლედ. ვერც კი წარმოედგინა, თუ ვინმე გაკადნიერდებოდა და იმას ურჩობას გაუწევდა. მაგრამ მაინც აღმოჩნდა ისეთი კადნიერი,..



ზღვაზე. უკანასკნელი ყუმბარა.



ზღვაზე. გემების დატვირთვა საომარი მასალით.

II

ეს იმის ნათლია სრეჩქო სოქოვიჩი იყო, ტან-მორჩილი, ჭაღარა, წითლად მოლაქლაჟე, უკბილო, კეთილი გულის მოხუცი—ასეთი იყო სრეჩქო, ანუ, როგორც ყველანი ვეძახდით ხოლმე სოფელში—პაპა სრეჩქო, ღმერთო სული გაუნათლე! მხიარული მოხუცი იყო. ვერავის დაელაპარაკებოდა დამშვიდებული, მუდამა ტრიალებდა ბელურასავით და თავის ჯოხს მიწას ურახუნებდა. როცა ჰხედავდა—ყურს მიგდებენ და ჩემი მოსწონთო, სიხარულისაგან არ იცოდა რა ექმნა. ისე ესიამოვნებოდა, ისე, ისე, თითქოს ღმერთმა იცის რა აჩუქესო.

სოფელში ძაან პატივსა სცემდნენ პაპა სრეჩქოს. როცა რამე საჭირო საქმეზე იყო მოსალაპარაკებელი, მაშინვე სრეჩქოს უძახდნენ. იმას კი უხაროდა—ჭკვიან ხალხს არ უნდა უჩემოდ რამე გარდასწყვიტოსო და მაშინვე მოდიოდა, ყველაფერზე ბევრს ლაპარაკობდა, ურჩევდა ასე თუ ისე მოქცეულიყვნენ. თქმით კი არავის ეუბნებოდა, რომ ეს იმას ესიამოვნებოდა. პირიქით, ის კიდევაც ჯავრობდა, ილანძღებოდა და ყველას ეუბნებოდა—მაწუხებენ მუდამ, მუდამ უნდა მივანებო საქმეს თავი, გამოვიქცე უხუცესებთან ერთად ათასგვარ საქმის გარდასაწყვეტად და თუ ვიქცევი ასე, მხოლოდ ჩემი სოფლის საზოგადოების სიყვარულით გამოო. მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ეს ძას ესიამოვნებოდა, ის კი ყვირილითა სცდილობდა ეს კმაყოფილება დაეფარა. ამიტომაც ჩვენ სიამოვნებით ჩავიცინებდით ხოლმე, როცა ის ვითომდა გაბრაზებული ლაპარაკობდა.

ერთხელ, არ ვიცით რაზე, უსიამოვნება მოუვიდა თავის ნათლულთან—მოსამართლე სთანოილოსთან. სთანოილომ რაღაცა სთქვა, პაპა სრეჩქო არ დაეთანხმა, პირიქით, მტკიცებაც დაუწყო—ის, რასაც სთანოილო გვირჩევს—ცუდიაო. რაკი იცოდა სთანოილომ—პაპა სრეჩქოს ხალხი დიდ პატივსა სცემდა, თავი, როგორც იყო შეიკავა ხალხის წინაშე, მაგრამ იმ დღიდან შეიძულა თავისი ნათლია სრეჩქო და ელოდა მარჯვე დროს, რომ საჯარო შეურაცხყოფობაზე სამაგიერო გადაეხადნა. იმ დღიდან სრეჩქოც როგორღაც აზუზუნდა სთანოილოს წინააღმდეგ და სულელს ეძახდა. ვისაც კი შეხვდებოდა, სთანოილოზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს. ახალგაზრდობას ძალიან მოსწონდა სრეჩქოს სიტყვები. ამან სთანოილოს ყურამდეც მიაღწია. იტკიცა უცებ, როცა ამაზე უთხრეს მას.—მაშ მარტო ის მიდის ჩემს წინააღმდეგ რაღა! მაშ სხვები უგდებენ ყურს, როცა ის მე მლანძღავს? ვუტირებ დედას, ცხვირში ძჲარს წავადენ იმაზეო,—ამბობდა გულში სთანოილო. მზად იყო მაშინვე წასულიყო და თავისი მსჯავრი წარმოეთქვა: ველქო, აბა ამას ერთი ოცდა ხუთი! მაგრამ თავი შეიკავა და ჩაფიქრდა: ოცდა ხუთი, მაგრამ როგორ გაუძლებს? მოხუცებულია, მასთან.. მასთან ნათლიაა, ნათლია... დავიწყო?!..

დღე-დღეზე მიდიოდა. ხალხი მუშაობაში იყო გართული. პაპა სრეჩქო თითქოს შეურიგდა სთანოილოს, მაგრამ მერე ისევ ალაპარაკდა იმის წინააღმდეგ; სთანოილო კი შემთხვევას ელოდა, რომ სრეჩქოზე შური ეძია. შემთხვევაც მალე დადგა.

ეს სწორედ „ცეცხლის მარიამის“ წინა ღამეს მოხდა. იმ დღეს ჩვეულებრივ ხალხი არა მუშაობს, არამედ იკრიბებიან ჯვარის ახლოს და ბაასობენ, აქ იყო სთანოილოც, სრეჩქოც, სხვა საპატიო კაცებიც. ისხდნენ და ლაპარაკობდნენ.

— ვინ არის?—იკითხა პაპა იოვანემ.

— მირკოა,—მიუგო სრეჩქომ და ქუდი მაღლა აიწია, თვალებზე რომ ეფხატებოდა.

— რომელი მირკო? აი სთოიჩი?

— ჰო, ის არის!

— მერე რა უნდა?

— ღმერთმანი არ ვიცი,—მიუგო სრეჩქომ.

— ამდროს მირკოც მოვიდა.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

— ღმერთმა გისმინოს!

— რაზედა ლაპარაკობთ?

— ისე, ვსხედვართ...

— ე რამ გაგაოფლიანა? ჰკითხა პაპა სრეჩქომ.

— რამ გამაოფლიანა და შენ გეძებდი.

— მე მეძებდი?

— დიახ, შენა. შენ ყეყეჩებს შეუშვიათ ხარები ჩემ სიმინდში და ერთიან ფეხქვეშ მოუდვიათ.

— ეგ შეუძლებელია!

— წამო, და, შვილონონიასა, შენ თვითონა ნახე.

— კარგი, მაგრამ როგორ შეუშვეს მერე?

— როგორ შეუშვეს... გეუბნებოდი ჩემი ჯეჯილის ახლოს ღობე გაასწორე მეთქი, უნდა გაგესწორებინა. მადლობა ღმერთს, იცი!

— მე... მე... მე ხომ ვუბრძანე ბავშვებს თვალი გეჭიროთ მეთქი... როგორ შეუშვეს... მერე ბევრი გააფუჭეს?



პრაპ. ვოლოდია გაბუნია
(ორჯერაა დაჭრილი).



პრაპ. ალექსანდრე ახობაძე
(გაკაწრული).



პოდპ. მ. იანკოვსკი
(მოკლულია).

— ბევრი გააფუჭეს მა!

სთანოილოს თვალები გაუბრწყინდა.

— ეი, ველქო!—დაუყვირა მან.

ველქო მოძუნძულდა.

— ჰყვიროდი სოფლად, რომ საქონელს გაფრთხილებოდნენ, არსად შეეშვათ?

— დიახ, ვყვიროდი, შენი ჭირიმე!

— გამოუცხადე, რომ დავსჯი ყველას, ვინც საქონელს სხვის მამულში შეუშვებს?

— გამოვუცხადე შენი ჭირიმე!

— აბა, ნათლი სრეჩქო, რას იტყვი?—მიუბრუნდა სრეჩქოს სთანოილო და თან სიხარულს ძლივსა ჰმალავდა, რომ ბოლოს ასეთი შემთხვევა ეძლეოდა.

— მოიცა, ნათლია მოიცა... მეც თვითონ ვუთხარ ჩვენებს... და... აი ჰხედავ... იმათ გამოეპარათ...

— მა რის უფროსი პატრონი ხარ, თუ უმცროსნი არ გიგონებენ?

— მიგონებენ, ნათლი, როგორ არ მიგონებენ... მაგრამ... ჰხედავ... ბავშვები გართობილან... რაც გააფუჭეს, გადავიხდი... უარს ხომ არ ვამბობ...

— ვიცი, რომ გადაიხდი, უნდა გადაიხადო კიდეც, რალა თქმა უნდა. მაგრამ კიდევ რა არის მაგაზე დაწესებული?

— დაწესებული რალა უნდა იყვეს...

— როგორ თუ რალა უნდა იყვეს, ხომ გაიგონე—ველქომ რაც გამოაცხადა, რა ელოდა ყველას, ვინც საქონელს ბოსლიდან გამოუშვებდა?

— გავიგონე, თვითონ მე გავიგონე.

— გაიგონე და არ ემორჩილები? არა?

— და მერე ხომ ბავშვებმა...

— ველქო, წაიყვა!

— რას ბრძანებ, ნათლი, რას?—წამოიყვირა სრეჩქომ და ზეზე წამოხტა, თითქოს მდუღარე გადაასხესო.

— რაო?.. ოთდა ხუთი!.. აი რა!

საზარელი იყო ამ დროს სთანოილო, თვალები დაეჭყიტა და ვეფხივით უბდღვრიალებდა. პაპა სრეჩქომ შეჰხედა სთანოილოს, ჩაჰხედა თვალებში და... აკანკალდა.

— ვის ოცდა ხუთი?

— შენ!.. უცებ მიუგო სთანოილომ.

— მე!..

— შენ!..

— ამ ჭაღარა თმას?—სთქვა სრეჩქომ, მოიგლიჯა ქუდი და ხელში თეთრი თმა დაიბღუჯა.

— დიახ!

— მაშ იმ ნათლიას, რომელსაც შენ თავის ხელით უტირებიხარ?

— ნათლიასაც, მშობელ მამასაც, ღმერთსაც... ყველას, ვინც ურჩი იქნება!.. დაწექ!..

— მე ხომ ვიხდი მერე?! დაიწყო სრეჩქომ.

— დაწექ!—უბრძანა სთანოილომ.

— დავწვე მე?

— დაწექ!

— არ დავწვები!

აბრიალდა პაპა სრეჩქოს პატარა თვალები ამოიძრო დანა. გადაჰხედა ყველას და დაიყვირა:

— ვინც მომეკარება, მოვკლავ, ღმერთმანი მოვკლავ!.. ნათლი სთანოილო, თითო დარტყმაზე, თითო დუკათს *) გადვიხდი. ჰხედავ ამ ჭაღარა თმას... ჰხედავ... გავთეთრდი, მაგრამ არავის არასდროს ერთის დარტყმაც არ გაუბედავს... შენ კი... შენ კი გინდა ოცდა ხუთჯერ დაარტყმევინო...

— დიახ, მინდა! ველქო, დაიჭი!..

ველქო წაეტანა მოხუცს, ჯოხი დაჰკრა ხელზე, დანა გააგდებინა და მერე ეცა სრეჩქოს. ხალხი ალაგიდან წამოცვივდა.

— რას შვრები, სთანოილო?—წამოიყვირა პაპა იოვანემ.

სთანოილომ კვერთხი ასწია, მივარდა იოვანეს და დაუყვირა:
— უკან დაიხით... ველქო, წაიყვა დასასჯელზე.

ხალხმა უკან დაიწია. არავის შეეძლო თვალი გაესწორებინა სთანოილოსათვის და ვერავის მოეფიქრებინა რამე, როგორ აეცილებინათ თავიდან ის საზარელი ამბავი. ყველა გაჩუმებულიყო. გეგონებოდათ აგერ, ისმის, გული როგორ უცემთ საგულეშიო. სთანოილო სიხარულისაგანა ჰკანკალებდა.

— არა ნათელ-მირონს, წმ. იოანეს!.. დაიყვირა პაპა სრეჩქომ, როცა იმ საბედისწერო სკამთან მიიყვანეს, რაზეცა სჯიდნენ ხოლმე.

— მე ნათელ-მირონისთვის არ მემეტება!—ამბობდა ის, თითქოს უფრო დამშვიდებული ხმით. მოიგლიჯა ქუდი და შორს გადასტყორცნა.

— ეტყობა მთელი ნათელ-მირონობა ქუდშია რალა!

— ნათლი, ხომა ვხდილობ...

— ახლა მე გიხდი სამაგიეროს!

ხალხი მიტრიალდა და შორს გაიყურებოდა გზაზე, ველქომ მიათრია სკამთან პაპა სრეჩქო, ისევ რომ პატიებაზე ემუდარებოდა, წააქცია ზედ და ხელები, ფეხები და წელი სკამზე მიუკრა. მერე მიბრუნდა, რომ ჯოხი აეღო, სრეჩქო კიდევა სთხოვდა არ ეცემინებინა, მაგრამ სთინოილომ წარბი შეიკრა და რამდენიმეჯერ გაიმეორა:

— მაგრამ ნათელ-მირონობა ხომ უკვე ქუდშია!..

ჯალათმა ველქომ სრეჩქოს ზედ დაამტვრია ჯოხი და მერე ხელები გაუხსნა. მაგრამ მოხუცი მკვდარივით იდო ისევ სკამზე. არ ინძრეოდა, კრინტს არა სძრავდა. ველქომ სკამიდან ძირს გადმოეგდო. პაპა წამოდგა. ცრემლ-მორეული, დაწითლებული თვალი გადაავლო იქ შეკრებილ ხალხს, გადაჰხედა სთანოილოს, თვალები რომ უბაცბაცებდნენ, გადაჰხედა ველქოსაც, სთანოილოს ახლოს რომ იდგა და მშვიდად იფხანდა თავს, იმის შეხედვაზე კი ძირს დაჰხარა თვალი. რამდენიმე წამს ისე იდგა ჩუმად სრეჩქო, აზრი ვერ მოეკრიბა; მკერდი გამაღლებული აუდ-დაუდიოდა, ხელები მომჩვაროდა და ძირს ეკიდა. უცებ თვალები ცრემლით აევსო; ქვითქვითი მორთო... თვალებზე ორივე ხელი მიიფარა, მივიდა ჯვართან და მუხლი მოიყარა... შემდეგ თავი მაღლა აიღო, კიდევ გადაავლო თვალი ხალხს და შეაფურთხა:

— სირცხვილი, თავ სლაფი თქვენ, თავს ლაფი!.. რა აქნევინეთ თქვენს თვალწინ, რა?.. თქვენ... თქვენ ხალხი არა ხართ!..

პირჯვარი გადაიწერა, ემთხვია ჯვარს და ხმა-მაღლა წარმოსთქვა:

— ყოვლად შემძლე უფალო! შეისმინე ხმა მლილისა შენისა და ყურად იღე ვედრება მისი! სთანოილოს გადაჰხედა, მოსამართლე შეხტა.

— ღმერთო,—განაგრძობდა პაპა სრეჩქო,—აგემე ჩემს ნათელმირონს სიმწარე ცხოვრებაში!.. სიხარული ჰმუნვად შეუცვალე!.. წარიხოცოს თესლი მისი, შენ კი, ჯელო, არ მოკვდები, ვიდრე ჩემს წინ მუხლ-მოდრეკილი არ შემსთხოვ პატიებას!.. ამბობ, მთელი ნათელ-მირონობა ქუდშიაო, მაშ დახიე, დახიე რალა... მეც დავხევ, მეც და... ჩვენ აღარ ვართ ერთმანეთის ნათელ-მირონნი!..

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, პაპა სრეჩქო სწვდა ქუდს, იქვე ეგდო იმის ფერხთით,—და ლუკმა-ლუკმა აქცია. შემდეგ გაიარა ხალხში და სახლისკენ გასწია. ქარი თოვლივით თეთრს ჭაღარას უფრიალებდა, ხალხი კი თვალს აყოლებდა შიშის ზარდაკრული.

(შემდეგი იქნება).

**სანგანიძე.**

ძველი ოქროს ფული—3 მანეთს.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.